



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგბილ ბუქ-
უბი სიფყავა, ფუცილებით და ჭებობით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯანსიბაზუ უსაბაგლსია.



ბაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ხუთშაბათი-პარასკევი, 5-6 ნოემბერი. 2020 წ. №150-151 (9076-9077)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 1 ლარი

ფრთხილად, ნაცები სამოქალაქო ომში გვითრევენ!



ფსიქიკურად „აჭრილები“

3



ეპროპოლის და ქართველი სამართალდამცველების თანამშრომლობით, კრიმინალური ქსელ QQAazz-ის 20 წევრია დააკავებული

ეპროპოლის მიერ კოორდინირებული სა-
ერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის
შედეგად, უპრეცედენტო საერთაშორისო სა-
პოლიციო ოპერაცია - @BaGoldMule ჩატარდა.
შსს-ს ინფორმაციით, ოპერაციაში ჩართუ-
ლი იყო 16 ქვეყნის სამართალდამცავი უწყება,
დაკავებულ იქნა კრიმინალურ ქსელ QQAazz-
ის 20 წევრი, რომლებიც მსოფლიოს წამყვანი
კიბერდამნაშავეების დავალებით, ათობით მი-
ლიონი ევროს გათვრებას ცდილობდნენ. რო-
გორც შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება,
ოპერაციას წინ უძღოდა კომპლექსური გა-
მოძიება პორტუგალიის, აშშ-ისა და ესპანეთის
პოლიციის, ასევე, გაერთიანებული სამეფოს, სა-
ქართველოს, ლატვიის, ბულგარეთის, იტალიის,
გერმანიის, შვეიცარიის, პოლონეთის, ჩეხეთის,
ავსტრალიის, შვედეთის, ავსტრიისა და ბელ-
გიის სამართალდამცავი უწყებების მიერ, ევ-
როპოლის კოორდინაციით.

„გამოძიებაში აქტიურად იყო ჩართული საქარ-
თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალ-
ური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის

სამართალდამცავი სფეროში საერთაშორისო თა-
ნამშრომლობის ცენტრი და ორგანიზებულ დანა-
შაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კი-
ბერდამნაშაულთან ბრძოლის სამმართველო. დად-
გინდა, რომ QQAazz-ს ქსელს, რომლის წევრები
იყვნენ ლატვიიდან, საქართველოდან, ბულგარე-
თიდან, რუმინეთიდან და ბელგიიდან, ასობით კორ-
პორატიული და პირადი საბანკო ანგარიში ჰქონდა
გახსნილი მსოფლიოს მასშტაბით, სადაც ირიცხე-
ბოდა კიბერკრიმინალების მიერ მსხვერპლების ან-
გარიშებიდან მოპარული თანხა. შემდეგ აღნიშნუ-
ლი თანხები ირიცხებოდა QQAazz-ის კონტრო-
ლირებად ანგარიშებზე და ხშირად თანხების კონ-
ვერტაცია ხდებოდა კრიპტოვალუტაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საერთა-
შორისო საპოლიციო თანამშრომლობა ერთ-ერთ
პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს და
იგი ევროპოლის, ინტერპოლისა და სხვადასხვა
ქვეყანასთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარ-
გლებში კვლავ აქტიურად აგრძელებს სხვადასხვა
სახის ოპერატიული დახმარების აღმოჩენას“, -
ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

„ხმალი სჭრის ბაგრატოვნისა, მეფისა ერეკლისაო“

მეფე ერეკლე 300 წლისაა

„...ღღას ციურთა საკვირველე-
ბა მოშურნე ექმნა ქვეყნისა საკ-
ვირველსა: ცამან მისტაცა
ქვეყანასა სიმდიდრე, ძლი-
ერთა - ძალი, ბრძენთა -
გონიერება, ერთა - გვირ-
გვინი, მხედართმთავართ
- სარდლობა და თვით-
მპყრობელთა - სახელმ-
წიფო ზრდილობა.



დიდნო მფლობელნი!
...სტიროდეთ ახლად
ქვეყნისა დიდებასა, სტი-
როდეთ სახლსა უავლუს-
ტესსა თქვენსა, შერაცხ-
დეთ ცუდად სოფლისა
დიდებასა! ისმინეთ ესე
სახსოვრად სასმინარი: მო-
კუდა ღერკულეს, უძლეველი
მეფეთა და მზისა ქვეშე, და
იხილეთ და ყოველი ამო“ -
ესაა ფრაგმენტი „მოთქმით ტირი-

ლისა საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა“.
მისი ავტორი (წარმომტემელი) გამოჩენილი სახელმწი-
ფო მოღვაწე, ერეკლე II-ის სამეფო კარის დიპლომატი, გამ-
ჭრიახი გონებითა და ფართო განათლებით ცნობილი სო-
ლომონ ლიონიძე იყო, კაცი - განთქმული ცოდნითა და მჭევ-
რმეტყველებით. ეს სიტყვა სოლომონ ლიონიძემ წარმოსთქვა
1798 წლის 22 თებერვალს მცხეთაში, სვეტიცხოვლის ამბი-
ონიდან, მეფე ერეკლეს დაკრძალვის წინ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „მოთქმით ტი-
რილი“ სამგლოვიარო უანრის მაღალი დონის ორატორუ-
ლი ქმნილებაა და ქართული სახოტბო მჭევრმეტყველების
შესანიშნავი ძეგლია.

მეფე ერეკლე 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა და ორ-
მოცდლიანი გლოვის შემდეგ თელავიდან მცხეთაში წაასვენეს
და 22 თებერვალს იქ დაკრძალეს. განისვენა მეფემ, რომე-
ლიც საყოველთაოდ იყო აღიარებული და რომლის შესახებაც
პრუსიის მეფემ ფრიდრიხმა ხამამალა განაცხადა: „ევრო-
პაში მე ვარო და აზიაში - ღერკულეს უძლეველი, საქარ-
თველოს გეორგიანთ მეფეო“. ქართველმა ხალხმა მოფერე-
ბით „პატარა კახი“ უწოდა... პიროვნებას, რომელმაც გრძელი
და ურთულესი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა გაიარა.
არაერთი ქართველი და უცხოელი ისტორიკოსი შეეხო
ერეკლე II-ს და ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა
ამ გამორჩეული პიროვნების შესახებ...
№. 5, 6, 7 83

როგორ ახრჩობს


8

რუსეთი

კოვიდ-19-თან

მეზრკულ

აფსაფეთს



ბოლარკი როხელი: ბოლიან „ზავით
მპრომარანი“ და სანარჩევნო
ხეხსა თხოვენ ამ ორმოში
ჩაყრილ, განაგებულ ხალხს

4

აქციულმა ძალებმა თავის დასაყრდენად დარეჯან დედოფალი და მისი შვილები გამოიყენეს, რომლებიც ოსმალეთთან მო-

ფორმაცია „კავკასიის ხაზის“ უფროსი გენერალ გუდოვიჩის დოქტრინის შედეგად გახდა ცნობილი მზვერავებისთვის).

ამ, ქვეყნისათვის საკმაოდ რთულ პერიოდში, ქართველ საზოგადოებაში გაჩნდა საქართველოს გაერთიანების იდეა.

ქართლ-კახეთის ლაშქარი მოუმზადებელი იყო. მეფეს მხოლოდ 5 000 მოლაშქრე მიუყვოდა.

8 სექტემბერს მტრის დასაზვერვად 12 მხედარი გაიგზავნა, ფარეშთუხუცესის



კრწანისის ბრძოლა

ვილი და ოთარ ამილახვარი ხელმძღვანელობდნენ. ქართველ ლაშქარს შეუერთდა სახელდახლოდ შეკრებილი რაზმი, რომელსაც დავით მაჩაბელი „მაჩაბელი“ ედგა სათავეში.

მეორმოცე დღეს ერეკლეს ცხედარი მცხეთაში წაასვენეს და სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟამიანობის გამო (შავი ჭირი მძვინვარებდა) პროცესია თბილისში ვერ შევიდა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დარეჯან დედოფალი სამგლოვიარო პროცესიას მცხეთაში არ გაჰყოლია.

ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი გიორგი ბატონიშვილმა (გიორგი XII) დაიკავა.

დიდი ქართველი მოღვაწის, ქართლ-კახეთის მეფის, „პატარა კახად“ ნოდებულ ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლის აღსანიშნავი წერილი მინდა დავამთავრო კვლავ სოლომონ ლიონიძის ამაღლებული დატვირებით.

„ხელმწიფე მფლოვალეო, საზოგადოვ მაგავ, მეფე ირაკლი, ვის მივსცე შენი უფალისა თაჟისა და უკლავის ტანის უსორო ტრფიალბა? ვის დროსა ვმასაზრო? ვინ შვიყვარო? ვისთვის მოვკვდე? ვისთვის ვიცოცხლო. შენ უკან სიცოცხლე საზრახვად გამარაგებულმან?“

არსებობს გადმოცემა: დიდმა თამარმა მეფედ კურთხევის დროს თავის სეფესიტყვაში წარმოთქვა „შიშველი მოვდივარ და ამ ქვეყნიდან შიშველი წავალ“.

ერეკლე მეორემ შექმნა დიდი ეპოქა. არც ერთ მეფეს, თამარის შემდეგ, არ მიუღია ხალხის დიდი სიყვარული, ალტაცებული ქებათა-ქება, როგორც მეფე ერეკლემ.

„მე ვარ თოფი — მუსიაფი კახთ ბატონის ერეკლესი“.

დღეს, ერეკლე მეორის დაბადების სასანი წლისთავზე, ხმაამალა უნდა განვაცხადოთ: იგი იყო ყველა დროის ქართველ გამორჩეულ მოღვაწეთა შორის — გამორჩეული და დიდი; მას განსაკუთრებული ადგილი უკავია უკვდავთა შორის.

როინ მებრძველი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი



300 წლისაა

ლი), სოლომონ ლიონიძე. ესენი ქვეყნის გაერთიანებას უჭერდნენ მხარს. თანაც მეფეს გადასცეს იმერელთა აზრი: ერეკლე მეფე იფიქრებს, როგორ წავართვა ტახტი ჩემს შვილიშვილსო (იმერეთის მეფე სოლომონ II ერეკლეს შვილიშვილი იყო).

იმერეთის დესპანების სახელით ქაიხოსრო წერეთელმა კომპრომისული წინადადება დასვა: იმერეთში მეფობა ნუ მოისპობა. იქ ერეკლეს შვილიშვილი სოლომონი გამეფდეს და მან კავშირი შეკრას ქართლ-კახეთთანაო.

1790 წელს ერეკლე II-ს, სოლომონ II-ს, ბრიგოლ დადინესა და სვიმონ გურიელს შორის დაიდო „ტრაქტატი იზარეალთა მეფეთა და მთავართაგან დახმარებითა შორისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა“.

ამასობაში ირანში მიმდინარე მძაფრ შინაომებში გაიმარჯვა ალა-მაჰმად-ხან ყაჯარმა. მისი ზეობის პირველივე წლებიდან აღმოჩნდა, რომ ქართლ-კახეთში ირანის ბატონობის აღდგენა სურდა.



მეფე ერიკლის საფლავი სვეტიცხოველში

გოჯასპ ნათალიშვილის მეთაურობით. იაღლუჯის მთაზე ირანელ მოლაშქრეებს გადაეყარნენ. შეებრძოლნენ მტერს და ერთიანად შეაკვდნენ.

წინ II სექტემბერის ბრძოლა იყო. ბრძოლის თავგაცობა სხვადასხვა ბრძოლებზე დაფუძნდა დავით და იოანე ბატონიშვილებს, იოანე მუხრან-ბატონს, ზურაბ წერეთელს.

წია. თითქმის ათჯერ ჭარბმა ძალამ თავისი ქნა — მტერი ზურგიდან მოექცა ქართველებს და შეუტია.

კრწანისის ბრძოლა ტრაგიკული შედეგით დამთავრდა.

ერეკლე II აწინილი საქმეების მოგვარებას შეუდგა, შემდეგ თელავში გადავიდა და იქ გაატარა სიცოცხლის დარჩენილი წლები.

1798 წლის II იანვარს ბარდიცვალა დიდი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ქართლ-კახეთის მეფე, ანთარა კახად ნოდებულ ერეკლე II, ნიხანლოვლითა, რომ მეფე ივანე პალატსა და საწოლში ბარდიცვალა, რომელშიც დაიბადა „ქართველთა ვერ განივითა, რკინის შებენსნათა კარით, მეფე ერიკლე აღარ გახვით, ბაბრათიონთა გზარიო“.

ორმოცი დღე იგლოვა საქართველომ დიდი მეფე... მეფის ცხედარი სასახლის მთავარ დარბაზში ესვენა ამბიონზე.

❶ ჩემპიონთა ლიგა

ფაქორიტებმა გააძლიერეს

პორტუგალიის პანდემიის გამო სეკვესტრირებული სეზონი თანდათან ძალებს იკრებს, რაც გოლების რაოდენობასა და შედეგებზე აისახება კიდევ.

მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის პირველი წრის ფინიშიზე სამშაბათს გამართულ 8 შეხვედრაში მეტოქეებმა ერთმანეთის მეკარეები 27-ჯერ დაამწყვდეს. ისიც აღსანიშნავია, რომ ფაქორიტებმა თითქმის ყველა ბრძოლა დამაჯერებლად მოიგეს და ორივე გამონაკლისი ესპანურმა კლუბებმა დაუშვეს.

„ა“ ჯგუფი. „ლოკომოტივი“ – „ატლეტიკო“ 1:1, „ზალცბურგი“ – „ბაიერნი“ 2:6.

„ბ“ ჯგუფი. „რეალი“ – „ინტერი“ 3:2, „შახტარი“ – „გლადბახი“ 2:6.

„გ“ ჯგუფი. „სიტი“ – „ოლიმპიკოსი“ 3:0, „პორტუ“ – „მარსელი“ 3:0.

„დ“ ჯგუფი. „ატალანტა“ – „ლივერპული“ 0:5, „მიდტიულანდი“ – „აიაქსი“ 1:2.

კობა კობახიძე



❷ ლეგიონერი



შერაფინის ღვინობისთვის

მსპანურ ლიგა ენდესაში არნახული სტარტი – 7 მატჩში 6 გამარჯვება – სათანადოდ დაუფასდა „ტენერიფეს“ ქართველ ლიდერს გიორგი შერმადინს, რომელიც ოქტომბრის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

საშუალოდ ყოველ შეხვედრაში მოგროვებული 18,3 ქულა, 5 მოხსნა და მარგი ქმედების კოეფიციენტი 28,7 – ასეთია „ჯვაროსნის“ ღვინობისთვის მონაგარი.

შეგახსენებთ, რომ შარშან მან მსგავსი აღიარება რამდენჯერმე დაიმსახურა, მიმდინარე სეზონში კი პირველად გამოარჩიეს. ეს ერთი და სხვა მრავალი, გიო!

ვიტალი ჯავახიძე

❸ პედისწერა

მარადონა კლინიკაში

რამდენიმე დღის წინათ დიეგო მარადონა 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით მილოცვებს იღებდა.

ეტყობა, როგორც ყველაფერში, არგენტინელმა ლეგენდამ გრიალში ამჯერადაც გადაამალა და კლინიკაში აღმოჩნდა.

დიაგნოზი ფრიად დამაფიქრებელია – თავის ტვინში ტრომბის არსებობა, რასაც სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა.

როგორც საინფორმაციო საშუალებები იტყობინებინ, ქირურგიულმა ჩარევამ წარმატებით ჩაიარა.


დავძენთ, რომ „მეფის“ პირადი ექიმი 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ლეოპოლდო ლუკეა.

მანუჩარ გიორგაძე



❹ 64

ქართული საეტიუდო კომპოზიციის მესამე კვლევა



ქართული საეტიუდო სკოლის ფუძემდებელი, საერთაშორისო არბიტრი საქადრაკო კომპოზიციის (1960), ეტიუდების შედგენაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1973-74), საერთაშორისო დიდოსტატი (1980) გია ნადარეიშვილი (1921-1991) პროფესიით ექიმი გახლდათ. 1938 წლიდან გარდაცვალებამდე გამოაქვეყნა 400-მდე ეტიუდი. ამათგან 75 პრიზებით დაჯილდოვდა, მათ შორის 40 პირველი. იგი 10-ზე მეტი წიგნის

გია ნადარეიშვილის ტალანტი ეფუძნება იმ ნათელ და გონებააზვილურ იდეებს, რომელიც მიზიდულია პრაქტიკოსი მოჭადრაკეებისთვის

მიხეილ ზოტვინიძე.

I. გია ნადარეიშვილი შვედეთი 1964 წ.

1. ხ4 ძ1კლ
2. ძე5+ ავჯ4
3. ჯ6 ლხ1+
4. ძვ8 ლა8+
5. ძვხ1! ლხ1+
6. ძვ8 ძვქ5
7. ავ7 (ხ8)

ყაიმი

I შენიშნება: ფინალური პოზიცია – ამელუნგის ციხე-სიმაგრე (1842-1909) კუ და მხედარი ბლოკავენ ყველა გზას, რომელიც მიმართულია თეთრი მეფისაკენ.

II. გია ნადარეიშვილი „ჩეხოსლოვაკი შახ“ ჩეხოსლოვაკია 1974 წ.

1. ა5 ძვხ4
2. ა6 ძვხ5
3. ა7 ძვ6!
4. ჯ:ც6+ ძვქ6
5. ა8მ+!

მოგება

II შენიშნება: 5, აზლ ან აზე შემთხვევაში, ფიქსირდება პატი. ასეთი „მოკლემეტრაჟიანი“ ეტიუდები სასარგებლოა, რადგან მათი მოხსნა იზიდავს ქადრაკის მოყვარულებს.

